ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

IDFI
Institute for Development of Freedom of Information

PARLIAMENT OF GEORGIA

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს პარლამენტის შენობის (თბილისი) მისაწვდომობის გეგმა მობილობის და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთათვის

მომზადებულია ორგანიზაციის „მარიანი“ მიერ
საქართველოს პარლამენტთან და ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით,
ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ორგანიზაცია „მარიანი“.
გამოცემის შინაარსის ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)
პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

ვინ არიან უსინათლო და მცირემხედველი ადამიანები? 4
რა არის მობილობის შეზღუდვა? 5
რას ნიშნავს მისაწვდომობა? 5
უნივერსალური დიზაინი და გონივრული მისადაგება 6
რას ვეყრდნობით დოკუმენტისა და მასში მოცემული რეკომენდაციების შემუშავების დროს? . 7
დოკუმენტის შექმნის მიზანი და გამოყენების თავისებურებები 8
რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის თბილისის შენობის ხელმისაწვდომობის გაზრდასთან დაკავშირებით 9
ნავიგაცია 9
ტაქტილური ბილიკი 10
ტაქტილური რუკა 12
კიბე 12
მოაჯირი 13
შენობის შიგნით არსებული შუშის მოაჯირი 14
პანდუსი 14
ამწე-პლატფორმა 16
კარი 16
მინის კარის მონიშვნა 17
წარწერები კარზე 17
დარბაზები 17
სხდომათა დარბაზი 18
პირველი რესპუბლიკის დარბაზი 18
კინოდარბაზი 19
ილია ჭავჭავაძის გამოფენა 19
დერეფნები 20
ბრიფინგების ოთახი 21
სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები 21

ლიფტი 22
ბანკომატები 22
კაფეტერია 22
მედიაცენტრი და ბიბლიოთეკა 23
განათება 23
აივნები 24
გარე პერიმეტრი 24
აუზები 24
ტროტუარის მონიშვნა 25
ევაკუაცია 25
დამატებითი ინფორმაცია მხედველობის და მობილობის შეზღუდვის მქონე პირების ჩართულობის ხელშეწყობისთვის 25
ეთიკის ნორმები 25
ზოგადი რეკომენდაციები: 27
ტერმინოლოგია: 31
საათის პრინციპი 32
დანართი: 33
ფოტოები 34

ვინ არიან უსინათლო და მცირემხედველი ადამიანები?

ხშირად ადამიანებს უჭირთ იმის წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს უსინათლობა, როგორ შეიძლება ადამიანმა დანახვის გარეშე აღიქვას და შეიმეცნოს სამყარო, როგორ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უსინათლო ადამიანებთან დაკავშირებით უამრავი სტერეოტიპია გავრცელებული. მაგალითად ხშირად ჰგონიათ, რომ ადამიანს, რომელიც ვერ ხედავს, ფენომენურად განვითარებული სმენა და ყნოსვა აქვს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ისინი უბრალოდ მეტ ყურადღებას აქცევენ მხედველობის გარდა სხვა შეგრძნების ორგანოებით მიღებულ ინფორმაციას. საზოგადოებას ასევე მცირე ინფორმაცია აქვს მცირემხედველობის შესახებ. არსებობს მხედველობის შეზღუდვის საკმაოდ დიდი დიაპაზონი და მათ შორის ერთმანეთის მოპირისპირე მდგომარეობებიცაა. მაგ.: ერთისთვის თუ დამატებითი განათებაა საჭირო, მეორე ადამიანს შეიძლება ჭარბი სინათლე ისე აღიზიანებდეს, რომ მბჟუტავი განათება ერჩივნოს. არსებობენ მცირემხედველი ადამიანები მხედველობის ველის დაზიანებით, ზოგიერთი მათგანი ხედავს მხოლოდ გვირაბისებურად, თითქოს ვიწრო ნახვრეტში იხედებოდეს, სხვებს კი პირიქით, შესაძლოა შუა ნაწილში აღქმა ჰქონდეთ დარღვეული, სამაგიეროდ ხედავდნენ პერიფერიულ ველში. სხვა ტიპის დარღვევის დროს შესაძლოა გამოსახულების სიმკვეთრე იყოს დარღვეული, ან ფერების აღქმა არ იყოს ზუსტი. ერთ-ერთი გავრცელებული დარღვევის _ დალტონიზმის ყველაზე ფართოდ გავრცელებული გამოხატულებაა მწვანე და წითელი ფერების ერთმანეთში არევა. ამიტომ არ შეიძლება წითლისა და მწვანის გვერდიგვერდ გამოყენება, თუ ფერებს შინაარსობრივ დატვირთვას ვაძლევთ და განსხვავებული რამის აღსანიშნად ვიყენებთ. თუ სხვა რომელ ფერთა გვერდიგვერდ გამოყენებას უნდა ვერიდოთ, იხილეთ დანართში.

მხედველობის დარღვევები სხვადასხვა კომბინაციით და ხარისხით შეიძლება გამოვლინდეს. მხედველობის დარღვევა შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან

მოგვიანებით შეძენილი. სხვადასხვა დარღვევის დროს, დამხმარე საშუალებებიც და ხელშეწყობის სტრატეგიაც განსხვავდება ერთმანეთისგან.

რა არის მობილობის შეზღუდვა?

მობილობის შეზღუდვა მოიაზრებს არა მხოლოდ ქვედა, არამედ ზოგ შემთხვევაში ზედა კიდურების გამოყენებასთან დაკავშირებულ სირთულეებსაც. გადაადგილების შეზღუდვის მქონე ადამიანები არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი კატეგორია, მაგალითად, ეტლით მოსარგებლეები. ეს ნიშანი მრავალფეროვან მდგომარეობებს აერთიანებს. მობილობის შეზღუდვის მქონე ორ პირს შესაძლოა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული საჭიროებები ჰქონდეთ. მაგალითად, ერთი მათგანი, შესაძლოა კიბის გამოყენებაზე არ ამბობდეს უარს, როდესაც სხვა, ლიფტით გადაადგილდება, რადგან ეტლით მოსარგებლეა. ხშირად მიაჩნიათ, რომ მობილობის შეზღუდვის მქონე პირებს არ შეიძლება ჰქონდეთ პირადი ცხოვება და მით უფრო, სქესობრივი კავშირები, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

რას ნიშნავს მისაწვდომობა?

მისაწვდომობა ნიშნავს სამოქალაქო ჩართულობის, სხვადასხვა სერვისის გამოყენების და ამა თუ იმ ფიზიკური ადგილის მიღწევის შესაძლებლობას. გამოყოფენ ფიზიკური გარემოს, სერვისების და საკანონმდებლო მისაწვდომობას. თითოეული მიმართულებით სიტუაციის გაუმჯობესება საზოგადოების წევრებისთვის ნიშნავს უფრო მეტ შესაძლებლობას ისწავლონ, დასაქმდნენ, ჰქონდეთ პირადი ცხოვრება, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მიიღონ სამოქალაქო გადაწყვეტილებები და ზოგადად იყვნენ რეალიზებულნი. მისაწვდომი ფიზიკური გარემო მინიმალური და აუცილებელი საფუძველია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. გაეროს ‘’შშმ პირთა უფლებების კონვენციის’’ მიხედვით, დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე” გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ

განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა; იგი მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის უარს გონივრულ მისადაგებაზე.

უნივერსალური დიზაინი და გონივრული მისადაგება

გონივრული მისადაგება" – გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას. უკვე აშენებული შენობის ადაპტირების დროს, ძირითად შემთხვევებში, მიმართავენ გონივრული მისადაგების პრინციპს, რადგან გარემოს უნივერსალური დიზაინით მოსაწყობად, შესაძლოა შენობის პრაქტიკულად სრული დემონტაჟი გახდეს საჭირო.

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით, „უნივერსალური დიზაინი" – გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე.

„უნივერსალური დიზაინი" არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების გამოყენებას.

სამწუხაროდ, უკვე აშენებულ შენობებში თითქმის შეუძლებელი არის ხოლმე უნივერსალური დიზაინის პრინციპების სრული დაცვა. ამიტომ ხშირ შემთხვევაში, ვიშველიებთ გონივრული მისადაგების პრინციპს. თუმცა ახალი შენობის აშენების ან ძველის ფუნდამენტური ცვლილების დროს, საჭიროა გათვალისწინებული იყოს

უნივერსალური დიზაინის პრინციპები. მით უფრო, რომ ეს მნიშვნელოვნად არ ზრდის ხარჯებს და არ მოითხოვს რამე განსაკუთრებულ ძალისხმევას. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის შენობის დაპროექტებამდე რომ ყოფილიყო გათვალისწინებული უნივერსალური დიზაინის პრინციპები, სხდომათა დარბაზში არ იქნებოდა საფეხურები, ტრიბუნა იქნებოდა ადვილად მორგებადი სხვადასხვა სიმაღლის ადამიანზე, C კორპუსის ცენტრალურ შესასვლელში არ იქნებოდა მინის ტიხარი და სხვა. ამგვარი დაპროექტება ხარჯებს არ გაზრდიდა. გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე, თუ თავდაპირველ ეტაპზევე იქნებოდა გათვალისწინებული შენობის შიგნით ტაქტილური (რელიეფური) ბილიკის დაგება, მაშინ უკვე არსებული ფილების ნაწილის ნაცვლად უბრალოდ დაეკვრებოდა შესაბამისი ტაქტილური ფილები, რითაც დაიზოგებოდა, როგორც დრო, ასევე ფინანსური რესურსები. ამასთან, უკეთ მისაწვდომი იქნებოდა საქართველოს პარლამენტის თბილისის შენობის გარემო და სერვისები მობილობის და მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებისათვის.

რას ვეყრდნობით დოკუმენტისა და მასში მოცემული რეკომენდაციების შემუშავების დროს?

გარემოს მისაწვდომობის გაზრდისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას ვეყრდნობით, საქართველს პარლამენტის თბილისის შენობაში არსებულ გარემოს და მისი მისაწვდომობის შესახებ დეტალური შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს, საერთაშორისო ექსპერტთა კვლევების მონაცემებს მხედველობის და მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანების საჭიროებების შესახებ. ასევე ვეყრდნობით საქართველოს პრემიერ მინისტრის 2014 წლის 41-ე დადგენილებას - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკურ რეგლამენტს. ვითვალისწინებთ თავად მხედველობის და მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანების გამოცდილებას, საქართველოში არსებულ მდგომარეობას და საზოგადოებაში დამკვიდრებულ მიდგომებს, არსებულ ფიზიკურ გარემოსა და

კანონმდებლობას. ასევე ვიზიარებთ საქართველოში სხვა მოსაზღვრე სფეროებში მომუშავე ორგანიზაციების გამოცდილებას.

ჩვენს უცხოელ პარტნიორთა შორის, რომლებისგანაც ვიღებთ პროფესიონალურ ცოდნას, არიან: ფონდი ''არი არი'' (პოლონეთი); ''სტუდიო ტიფლოგრაფიკი'' (პოლონეთი); ''მარბურგის საგანმანათლებლო ცენტრი - ბლისტა'' (გერმანია); ''წმ. ბარბარეს სახელობის უსინათლოთა სკოლა'' (კვიპროსი); ''მიუნხენის ადრეული ხელშეწყობის ცენტრი'' (გერმანია); ICEVI - მხედველობადაქვეითებულთა რეაბილიტაციისა და განათლების საერთაშორისო საბჭო.

დოკუმენტის შექმნის მიზანი და გამოყენების თავისებურებები

წარმოდგენილი დოკუმენტის შემუშავების მიზანია, რეკომენდაციების მიწოდება საქართველოს პარლამენტის თბილისის შენობაში მხედველობის და მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის გარემოს მისაწვდომობის გაზრდის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ.

დოკუმენტში აღწერილი რეკომენდაციები მისადაგებულია კონკრეტული გარემოს მახასიათებლებთან, გათვალისწინებულია შენობის დანიშნულება და იქ მიმდინარე ღონისძიებები, ძირითადი სამიზნე ჯგუფი, მათი ასაკი და სავარაუდო საჭიროებები. სწორედ ამიტომ, ყველა რეკომენდაციის უცვლელად გადატანა სხვა შენობაზე ან დიზაინის მნიშვნელოვანი ცვლილების შემდეგ თუნდაც იმავე შენობაზე არ იქნება ეფექტური, მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ მოყვანილი სტანდარტების უმეტესობა უნივერსალურია და საერთაშორისო ნორმას წარმოადგენს.

მაგ.: თუ ვწერთ, რომ კონკრეტულ ოთახში ავეჯის ფერი სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რემონტის დროს კედლის ფერის შეცვლის შემდეგ, შესაძლოა სულ სხვა სურათი მივიღოთ. ან ერთ ოთახში მისაღები განათება, მეორე, იმავე ფართობის მაგრამ სხვა დანიშნულების მქონე ოთახში არ იყოს საკმარისი. ასევე თუ ვწერთ, რომ კარისა და კედლის ფერი სრულიად მისაღებია, რომელიმე მათგანის შეცვლის შემთხვევაში

გასათვალისწინებელია, რომ ფერთა ინტენსივობას შორის იგივე თანაფარდობა უნდა დარჩეს, იმავე ხარისხის კონტრასტი უნდა იქმნებოდეს.

რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის თბილისის შენობის ხელმისაწვდომობის გაზრდასთან დაკავშირებით

ნავიგაცია

საქართველოს პარლამენტის თბილისის შენობაში, მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, აუცილებელია აუდიო სანავიგაციო სისტემის დაყენება. შენობის სივრცე საკმაოდ რთულია იმისთვის, რომ უსინათლო სტუმარმა, ან თუნდაც თანამშრომელმა ადვილად მოახერხოს სივრცეში ორიენტირება და სამიზნე ადგილამდე გადაადგილება. აღნიშნული სისტემა მოიცავს შენობის აღჭურვას შიდა GPS სისტემით, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ყველა ოთახის, სანიტარული კვანძის, კიბის, ლიფტის, დარბაზის, გასასვლელის და სხვა ობიექტების მდებარეობა. მხედველობის დარღვევის მქონე სტუმარი, შენობაში შესვლისთანავე, საშვის აღებასთან ერთად მიიღებს სპეციალურ პულტსა და ყურსასმენებს, რომელზე შესაბამისი ოთახის ნომრის აკრეფის შემდეგ, მოისმენს ინსტრუქციას, თუ როგორ მივიდეს ამა თუ იმ ოთახამდე. გარდა ამისა, სანავიგაციო მოწყობილობა უნდა რეაგირებდეს იმ პუნქტებზეც, რომლებსაც ადამიანი გაივლის, თუ მას არ აქვს მითითებული, რომ კონკრეტულ ოთახში მიდის. სანავიგაციო სისტემა პარლამენტის თანამშრომლებს, რომლებსაც მხედველობის შეზღუდვა აქვთ, უნდა გადაეცეთ მუდმივი მოხმარებისთვის, მანამ, სანამ ისინი ამ შენობაში მუშაობენ. სანავიგაციო სისტემას აუცილებლად თან უნდა ახლდეს ინსტრუქცია ბრაილის შრიფტით, როგორც ქართულად, ასევე იმ ენებზე, რომლებზეც სისტემა იმუშავებს. ასევე, თვითონ პულტზე შესაბამის ღილაკზე თითის დაჭერით შესაძლებელი უნდა იყოს ინსტრუქციის მოსმენა. ამგვარი სანავიგაციო სისტემა საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა მას აქტიურად გამოიყენებენ საზღვარგარეთ.

ამიტომ ვფიქრობთ, საჭირო გახდება უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც აღნიშნულ სისტემას დააპროექტებენ და გამართავენ პარლამენტის შენობისთვის

თუმცა უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, აუცილებელი იქნება ქართველების, მათ შორის, მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანების ჩართვაც, რათა სისტემამ შეძლოს გამართულად მუშაობა.

ტაქტილური ბილიკი

პარლამენტის შენობის გარე პერიმეტრზე, შესასვლელამდე, ასევე შენობის შიგნით და შენობებს შორის გადასასვლელ შიდა ეზოებში უნდა დაიგოს ტაქტილური ბილიკი, რათა უსინათლო ადამიანებს გაუადვილდეთ ორიენტირება დიდ სივრცეში. ბილიკზე ხელჯოხის გაცურებით შესაძლებელია ადამიანი უსაფრთხოდ და ზუსტად მივიდეს სასურველ პუნქტამდე. ბილიკის დაგებისას, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს შემდეგი პარამეტრები: ბილიკი უნდა დაიგოს კონკრეტული საწყისი პუნქტიდან და მივიდეს კონკრეტულ მნიშვნელოვან პუნქტამდე. მისი სიგანე უნდა იყოს 30 სმ, ხოლო თითოეული ფილის სიმაღლე 0,4-0,5 სმ. ბილიკი შესაძლოა გაკეთდეს, როგორც გრანიტის ფილებით, რომლებიც ჩაისმება არსებული იატაკის ამოჭრის შემდეგ დარჩენილ არხში, ასევე არსებულ ზედაპირზე დაეკრას რეზინის, კერამოპლასტმასის ან ლითონის ფილები. სხვადასხვა ტიპის ფილას სხვადასხვა გამძლეობა და ხარისხი აქვს. აგრეთვე განსხვავდება ღია და დახურულ სივრცეში დასაგები ფილები. ''საქართველოს პარლამენტის თბილისის'' შენობაში სასურველია დაიგოს რეზინის, კერამოპლასტმასის ან მეტალის ფილები.

ტაქტილური ბილიკის ძირითადი დანიშნულებაა, უსინათლო ადამიანი ყველაზე უსაფრთხო გზით მიიყვანოს მნიშვნელოვან პუნქტებამდე, მაგ.: საშვთა ბიურო, კიბე, ლიფტი, სხდომათა დარბაზი, ეზოში გასასვლელი, ტაქტილური რუკა და სხვა. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამომდინარე იქედან, რომ შენობის დიდ ნაწილში დაგებულია ხალიჩები, ტაქტილური ბილიკის გამოყენება ბევრ ადგილზე შეუძლებელი

იქნება. სწორედ ამის გათვალისწინებითაც არის საჭირო სანავიგაციო სისტემით აღჭურვა. ხოლო ტაქტილური ბილიკი გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ ადგილებზე, სადაც ხალიჩა არ არის დაგებული. ტაქტილური ბილიკის ფერი, სასურველია, იყოს ყვითელი, რადგან იგი შექმნის საჭირო კონტრასტს ნებისმიერ სხვა ფერთან და ადვილად შესამჩნევი იქნება მცირემხედველი ადამიანებისთვისაც. თუ ყვითელი ფერის გამოყენება არ იქნება შესაძლებელი, მაშინ უნდა შეირჩეს ისეთი კონტრასტული ფერი, რომლის დანახვაც მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანს არ გაუჭირდება, არსებული იატაკის ფერის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, შესასვლელი კარის შიგნით და გარეთ, კიბის ყოველი უჯრედის დასაწყისსა და ბოლოში უნდა დაიგოს ტაქტილური ხორკლიანი ფილები, რომლებიც ერთი მხრივ დააბოლოვებს ტაქტილურ ბილიკს, ხოლო მეორე მხრივ, მიანიშნებს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პუნქტის მოახლოვების შესახებ. ხორკლიანი ფილები უნდა დაიგოს მისანიშნებელ ობიექტთან მაქსიმალურად ახლოს. მათი არსებობა მეტად მნიშვნელოვანია ლიფტების შესასვლელებთან, კიბის ყოველი უჯრედის დასაწყისსა და ბოლოს, ეზოში გასასვლელებთან, საშვთა ბიუროსთან, გარე პერიმეტრზე _ შენობის შესასვლელთან, შიდა ეზოებში და ტაქტილურ რუკებთან.

ტაქტილური ბილიკი უნდა დაიწყოს შენობის გარეთ, C კორპუსის ცენტრალურ შესასვლელთან არსებული ტროტუარიდან. იხ. ფოტო N 24, N 25, N 26 და N 27. მივიდეს საფეხურებამდე, საფეხურების მაღლაც და დაბლაც უნდა დაიგოს ხორკლიანი ფილები საფეხურების მთელ სიგანეზე. კარიდან ბილიკი უნდა მივიდეს საშვთა ბიურომდე. საშვთა ბიუროსთან ისევ გაკეთდება ხორკლიანი ფილები. ტაქტილური ბილიკი უნდა მოეწყოს C კორპუსის შესასვლელში. C კორპუსის საშვთა ბიუროდან ბილიკი მივა უსაფრთხოების საკონტროლო გასასვლელთან. გასასვლელის ორივე მხარეს დაიგება ისევ ხორკლიანი ფილები. ამის შემდეგ ბილიკი უნდა მივიდეს ლიფტებამდე, მსგავსი პროექტი განხორციელებულია თბილისის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში. იხ. ფოტო.

შიდა ეზოში ტაქტილური ბილიკი უნდა დაიგოს ისე, რომ მივიდეს ყველა შესასვლელთან, მათ შორის ეკლესიის ჩასასვლელთანაც და გაიაროს საფეხურებთან.

საფეხურების მთელ სიგანეზე უნდა დაიგოს ხორკლიანი ფილები. ბილიკის მოხრა უნდა გაკეთდეს 90 გრადუსიანი კუთხით. ბილიკის დაგებისას შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა ავიცილოთ დიაგონალური მიმართულებები, ბლაგვი და მახვილი კუთხეები. ყველაზე მეტად მისაღებია მართი კუთხის გადაბმები.

ტაქტილური რუკა

ტაქტილური რუკა წარმოადგენს შენობის რელიეფურ გეგმას, რომელიც შედგენილია მაქსიმალური სიზუსტითა და სიმარტივით. მასზე დატანილი უნდა იყოს ყველა მნიშვნელოვანი პუნქტის აღმნიშვნელი სიმბოლო, რომლებიც განმარტებული იქნება რუკის მარცხენა მხარეს მოცემულ ბრაილის შრიფტით დაწერილ ლეგენდაში. რუკის ზომა არ უნდა აღემატებოდეს A3 ფორმატს. თუ შენობის სივრცის დატევა A3 ზომის ფურცელზე შეუძლებელია სპეციფიკის გათვალისწინებით, მაშინ აუცილებელია, რუკაზე დასატანი ინფორმაცია განაწილდეს სივრცის ზომისა და ფორმის მიხედვით, შეიქმნას რამდენიმე რუკა და ყოველ მათგანზე იყოს მინიშნებული, თუ სად დგას თითოეული მათგანი. მოცემულ შემთხვევაში, რუკა უნდა დაიდგას, ყველა კორპუსის შესასვლელთან, ასევე კორპუსებს შორის გადასასვლელებთან და ყველა ფლიგელში, ყველა სართულზე, კიბისა და ლიფტის მიმდებარედ. რუკაზე აუცილებლად უნდა იყოს დატანილი ინფორმაცია ტაქტილური ბილიკის ტრაექტორიის შესახებაც, იქ, სადაც ასეთი არსებობს. რუკასთან მისვლა ბარიერების გარეშე უნდა იყოს შესაძლებელი და ის უნდა იდგეს ისე, რომ ტაქტილური ბილიკი პირდაპირ მიდიოდეს მასთან. რუკა ტაქტილური ბილიკის პირველსავე განშტოებასთან უნდა იდგეს, რომ უსინათლ ადამიანმა ადვილად იპოვოს იგი.

კიბე

გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა იყოს კიბის დასაწყისში საფეხურის მთელ სიგანეზე და 60 სმ-ზე და უნდა მიდიოდეს ზუსტად პირველი საფეხურის კიდემდე. კიბის დასაწყისში და ბოლოში უნდა იყოს დამატებითი განათება არსებული ნიშნების

დასანახად. კიბის ყველა საფეხურის კიდეზე საფეხურის მთელ სიგანეზე უნდა განთავსდეს მინ 5 სმ-იანი ფეხის დაცურების საწინააღმდეგო კონტრასტული მეტალის ან რეზინის კანტები. აღნიშნული რეკომენდაცია ეხება ეკლესიის კიბესაც, ასევე ნებისმიერ სხვა კიბეს, მარმარილოს კიბეებსაც. იმ კიბეებზე, რომლებზეც ხალიჩაა დაგებული, ანტისლიპები უნდა დაიკრას ხალიჩის ქვეშ და ზემოდან დაიგოს ხალიჩა. თეთრ მარმარილოს კიბეზე უნდა დაიკრას შავი ფერის ანტისლიპები, ხოლო შავ და მუქ ნაცრისფერ საფეხურებზე - ვერცხლისფერი. იხ. ფოტო N 3 და ფოტო N4, ასევე ფოტოები N 17 და N18.

ეზოში საყურადღებოა პატარ-პატარა საფეხურები, რომლებიც არც თუ უსაფრთხოა მცირემხედველი ადამიანებისათვის. ამიტომ საჭიროა მათი კიდეების შეღებვა 5 სმ სიგანეზე ყვითელი ან თეთრი ფერის, სპეციალური ქლოროკაუჩუკის, ფოსფორიანი ან რეზინის შემცველი საღებავით.

მოაჯირი

მთელს შენობაში, ორდონიანი მოაჯირები განთავსებული უნდა იყოს კიბის ორივე მხარეს (პირველი დონე - 70 სმ-ზე და მეორე დონე- 90 სმ-სიმაღლეზე იატაკიდან) და როგორც ზედა, ასევე ქვედა მხარეს უნდა სცდებოდეს კიბეს 30 სმ-ით.

მოაჯირები განლაგებული უნდა იყოს კედლიდან დაახლოებით 5 სმ დაშორებით და უნდა იყოს კიბის და კედლის ფერისგან განსხვავებული ფერის.

მოაჯირები უნდა იყოს 4-დან 5 სმ სისქის. რეკომენდებულია განივი კვეთის პროფილის, სისქე არ უნდა აღემატებოდეს 5 სმ-ს სხვა ფორმის შემთხვევაშიც. მათი ბოლოები უნდა იყოს მომრგვალებული, უნდა სრულდებოდეს ჰორიზონტალურად და არა დახრილად, საფეხურის გარეთ. მოაჯირის დახრა არ უნდა იწყებოდეს საფეხურებზე გვიან და არ უნდა მთავრდებოდეს თუნდაც ნახევარი საფეხურით ადრე. ასეთი ადგილები საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველია. სტანდარტულად მოაჯირი უნდა იყოს ორდონიანი.

სასურველია, მოაჯირი ისე იყოს დამაგრებული, რომ იატაკთან ან კედელთან დამაკავშირებელი მილები არ აფერხებდეს ხელის გაცურებას, შეერთების ადგილები იყოს იმდენად კარგად დამუშავებული, რომ არ ჰქონდეს ნაწიბურები, რომელზეც ხელის დაშავება შეიძლება.

შენობის შიგნით არსებული შუშის მოაჯირი

შენობაში არსებული ყველა მოაჯირის მინას უნდა გაუკეთდეს კონტრასტული მონიშვნა მის მთელ სიგანეზე 10 სმ სიგანის კანტით, კანტი უნდა განთავსდეს მინის შუა ნაწილში ან მის ზემოთ. იხ. ფოტო N 13 და ფოტო N 14.

შენობაში არც ერთ კიბეს არ აქვს მოაჯირი კედლის მხარეს, ამიტომ ისინი ყველგან დასამატებელია. ასევე C კორპუსში 1-ელ სართულზე უსაფრთხოების საკონტროლო პუნქტთან არსებული მომრგვალებული კიბის მოაჯირი უნდა დაგრძელდეს კიბის ბოლომდე.

ასევე, შენობაში არსებული რკინის მოაჯირი იწყება საფეხურებზე გვიან, რაც საფრთხის შემცველია სტუმრებისათვის. ამიტომ აუცილებელია მისი დაგრძელებაც.

პანდუსი

შენობაში რამდენიმე ადგილას საჭიროა პანდუსის (ორი ჰორიზონტალური დონის დამაკავშირებელი, უსაფეხურო, დახრილი ზედაპირი) გაკეთება.

შიდა ეზოში, ჩიტაძის ქუჩის მხარეს, C კორპუსის შესასვლელთან, არის საჭირო პანდუსის მოწყობა.

უკვე არსებულ პანდუსებს კი საჭიროა გაუკეთდეს ანტისლიპები - დასრიალების საწინააღმდეგო ზოლები. ასეთი ადგილია, მაგ. შიდა ეზოში გასასვლთან და ეზოს გვერდითა ჭიშკართან არსებული პანდუსი. შენობაში არსებულ პანდუსს უნდა გაუკეთდეს მოაჯირები როგორც პანდუსზე ასევე პანდუსის თავზე არსებულ კიდეებს.

დაუშვებელია პანდუსის ზედაპირი იყოს სრიალა ამიტომ პანდუსს უნდა დაეკრას კონტრასტული 10სმ-იანი დაცურების საწინააღმდეგო ლენტი ყოველ 10 სმ-ში მის მთელ სიგანეზე.

სასურველია დახრილობა 1:20 შეფარდებით, თუმცა დასაშვებია არანაკლებ 1:12 შეფარდებისა. ეს ნიშნავს, რომ თუ ორ დონეს შორის განსხვავება 1 მეტრია, დახრილობა უნდა გრძელდებოდეს არანაკლებ 12 მეტრისა. პანდუსის ორივე ბოლოში უნდა იყოს სწორი სივრცე არანაკლებ 1.6 : 1.6 მეტრისა.

პანდუსის დასაწყისში აუცილებლად უნდა იყოს 4-5 სმ. სისქის კონტრასტული ფერის ზოლი მთელი პანდუსის სიგანეზე, რომელიც ვიზუალურად ამცნობს ადამიანს პანდუსის დასაწყისის შესახებ.

პანდუსს არ უნდა ჰქონდეს ღია გვერდები მოაჯირის ან ვიზუალური მონიშვნის გარეშე.

პანდუსის გაკეთება საჭიროა ოთხივე ადგილას, ფლიგელებს შორის გადასასვლელებში, ხის საფეხურების ნაცვლად. დახრილობის სიგრძე იქნება დაახლოებით 5 მეტრი, რომ შემდეგ საფეხურებამდე დარჩეს დაუხრელი მონაკვეთი. დახრილობის და საფეხურების გადაბმა დაუშვებელია. პანდუსიდა საფეხურებამდე საჭიროა დარჩეს სულ მცირე 120-150 სმ. იხ. ფოტო. N 19, N 20 და N 21.

C კორპუსის ცენტრალური შესასვლელი, საშვთა ბიუროსთან საჭიროებს ახალი პანდუსის მოწყობას, რომელიც თანხვედრაში მოვა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41-ე დადგენილებასთან. კერძოდ, მოეწყობა უსაფრთხოების მოაჯირები და დახრა 6%-ს შეადგენს, იხ. ფოტო N 24. შიდა ეზოში, ჩიტაძის ქუჩის მხარეს, C კორპუსის შესასვლელთან, ასევე არის საჭირო პანდუსის მოწყობა.

C კორპუსის ცენტრალურ შესასვლელთან არსებული პანდუსი საჭიროა დაგრძელდეს ზემოთ მითითებული დახრილობის სტანდარტის მიხედვით. იხ. ფოტო N26 და ფოტო N27.

ამწე-პლატფორმა

ფლიგელებს შორის ოთხივე გადასასვლელის ქვის კიბეზე აუცილებელია დამონტაჟდეს ამწე პლატფორმა, რომელიც დამაგრდება მოაჯირზე და ეტლით მოსარგებლე პირს დაეხმარება კიბეზე ასვლა-ჩასვლაში.

ამწე-პლატფორმა საჭიროა კინოდარბაზის ჩასასვლეთანაც.

ამწე-პლატფორმის მაგალითისთვის იხ. ბმული:

http://www.garaventalift.com/en/products/wheelchair-lifts/inclined-platform-lifts.html

საძიებო ველში შეიძლება მიეთითოს: Weelchair Lift

კარი

შენობაში არსებული ყველა კარი უნდა იყოს მინ. 90 სმ სიგანის, რათა ეტლით მოსარგებლე ადამიანი დაუბრკოლებლად შევიდეს მასში. მეტალოპლასტმასის კარების დირეები არ უნდა აღემატებოდეს 2.5 სმ-ს. აღნიშნული შეეხება სანიტარული კვანძების კარების დირეებსაც. მაღალი დირეები უნდა მოიჭრას ისე, რომ კარით სარგებლობა უბარიეროდ იყოს შესაძლებელი.

კარის სახელური უშუალოდ კარის ფერისგან კონტრასტული უნდა იყოს. თუ კარი და სახელური ერთი და იმავე ფერისაა, მაშინ სახელურის გარშემო შესაძლებელია გაკეთდეს 2.5 სმ-იანი კარის ფერისაგან კონტრასტული ორაკალის კანტი.

C კორპუსში შესასვლელი ცენტრალური კარი საჭიროა იღებოდეს ორივე მხარეს, როგორც შიგნით, ისევე გარეთ. სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია მარჯვენა კარის გაღება, რომელიც არის უფრო პანდუსისკენ და არა კედლისკენ. ახლანდელი შემთხვევა, საკმაოდ მოუხერხებელია ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის, რადგან კედლის მხარეს არაა საკმარისი ადგილი ეტლის მოსაბრუნებლად და კარის დამოუკიდებლად გაღება გარედან თითქმის შეუძლებელია.

მინის კარის მონიშვნა

ცენტრალურ შესასვლელთან შუშის კარის მონიშვნა ლურჯი ზოლებით უნდა მოხდეს. მინის ნებისმიერი კარი უნდა მოინიშნოს იატაკიდან 90 სმ და 150 სმ სიმაღლეზე 10 სმ-იანი სიგანის ორაკალის (სარეკლამო წებოვანი ქაღალდი) ლენტით. კარის მომიჯნავე მინის უძრავი კედლები უნდა მოინიშნოს მხოლოდ ერთი კანტით, იატაკიდან 150 სმ სიმაღლეზე. იხ. ფოტო N 1 და ფოტო N 2.

დერეფნებში შუშის კარები უნდა მოინიშნოს თეთრი ან ლურჯი კანტებით იმავე სიმაღლეებზე.

წარწერები კარზე

შენობაში არსებულ ყველა ოთახის კარს, ასევე სანიტარული კვანძების კარებს უნდა გაუკეთდეს წარწერა ბრაილის შრიფტით და ბრტყელი, 18-იანი შრიფტით. არც ერთი წარწერა არ უნდა იყოს Word 18 ზომაზე ნაკლები. ბრაილის წარწერები უნდა გაკეთდეს, როგორც კარზე, ასევე კარის გვერდით კედელზე. იმ კარებზე სადაც მხოლოდ ნომერია დაწერილი ან ერთი სახელი და გვარი წერია, უნდა მიმაგრდეს ბრაილის წარწერა იატაკიდან მაქს. 150 სმ სიმაღლეზე, ხოლო სახელურიდან მაქს. 30 სმ სიმაღლეზე.

იმ ოთახების კარებზე, სადაც გრძელი წარწერებია განსათავსებელი, კარზე უნდა დამაგრდეს მხოლოდ ოთახის ნომერი და დეპარტამენტის სახელი, ხოლო სახელურის მხარეს კედელზე, კარზე არსებული ბრაილის წარწერის გასწვრივ, უნდა დამაგრდეს დაფა, რომელზეც დანარჩენი ინფორმაცია იქნება დატანილი.

ბრაილის შრიფტით გაკეთებული წარწერები შესაძლოა ჩაისვას ისეთსავე ჩარშოებში, როგორშიც ბრტყელი შტიფტით ნაწერია.

დარბაზები

ი. ჭავჭავაძისა და პირველი რესპუბლიკის დარბაზებში არის საფეხურები, რომლებზეც არსებული კანტები უნდა შეიცვალოს და კონტრასტული ფერის კანტები უნდა დამაგრდეს. ასევე, დროებითი პანდუსის დამაგრებაა საჭირო, რათა ეტლით მოსარგებლე ადამიანებს შეექმნათ უბარიერო სივრცე. ამ სივრცეების ადაპტირების ყველაზე კარგი გამოსავალი პორტატული ელექტრო ამწე პლატფორმების შესყიდვაა. ეს არ გამოიწვევს დამატებით სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. ელექტრო პანდუსები იქნება მოძრავი (გორგოლაჭებზე). დაჭირდება სულ ორი ერთეული ელექტრო პანდუსი, მაგალითისთვის იხ. ფოტო N 30.ამ სივრცეების ადაპტირების ყველაზე კარგი გამოსავალი პორტატული ელექტრო ამწე პლატფორმების შესყიდვაა. ეს არ გამოიწვევს დამატებით სარეკონტსრუქციო სამუშაოებს. ელექტრო პანდუსები იქნება მოძრავი (გორგოლაჭებზე). დაჭირდება სულ სამი ერთეული (ორი თბილისში და ერთი ქუთაისში), მაგალითისთვის იხ. ფოტო N 30.

სხდომათა დარბაზი

შესასვლელთან არსებული საფეხურები საჭიროა მოინიშნოს მუქი ფერის კანტებით.

შუშის მოაჯირს უნდა გაუკეთდეს თეთრი ფერის მონიშვნა, ორაკალის 10 სმ-იანი კანტით, რომელიც უკეთ ხილვადს გახდის მას. ასევე, ტრიბუნასთან ეტლით მისვლა არ არის შესაძლებელი. ამიტომ უნდა გაკეთდეს, სპეციალური, მოძრავი პანდუსი. იხ. ფოტო N 5 და ფოტო N6. გარდა ამისა, თვითონ ტრიბუნა უნდა იყოს მოძრავი, რომ შეიძლებოდეს მისი რეგულირება ადამიანის სიმაღლის მიხედვით.

დარბაზში პირველ რიგში არსებული რამდენიმე მაგიდის შიდა თარო უნდა მოიჭრას, რათა ეტლით შესაძლებელი იყოს იქ დაჯდომა.

სხდომათა დარბაზში შესასვლელი საფეხურების კიდეები უნდა მოინიშნოს კონტრასტული ფერის კანტებით.

პირველი რესპუბლიკის დარბაზი

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დარბაზშიც გასათვალისწინებელია ტრიბუნასთან მისასვლელი დროებითი პანდუსი და თვითონ ტრიბუნის ზომა. ასევე ადგილი მაგიდასთან პირველ რიგში, რომელსაც დაიკავებს ეტლით მოსარგებლე ადამიანი.

''საქართველოს პირველი რესპუბლიკის დარბაზი'' - წარწერა დერეფანში კედელზე მკრთალია. იგი უნდა შეიცვალოს და დაიწეროს კონტრასტულ ფონზე ან კონტრასტული ფერის ასოებით, რათა უკეთ შესამჩნევი გახდეს.

ბაგრატოვანთა დარბაზში, სამომავლოდ. როდესაც კარი გამოიცვლება, საჭიროა კედლისგან კონტრასტული ფერის კარი ჩაისვას.

კინოდარბაზი

კინოდარბაზის, როგორც გარე, ასევე შიგა საფეხურები უნდა მოინიშნოს განათებით, ისე, როგორც ეს კინო- და საკონცერტო დარბაზებშია. იხ. ფოტო. N 9 და ფოტო N 10. სხვა შემთხვევაში შესაძლებელია წინიდან შეიღებოს ფოსფორიანი საღებავით, რათა კარგად შესამჩნევი გახდეს. სასურველია კინოდარბაზის იატაკის დახრილ მონაკვეთებზე გაკეთდეს ფეხის დაცურების საწინააღმდეგო კანტები. იხ. ფოტო. N 11 და ფოტო N 12.
ამწეპლატფორმის შემუშავებისას შესაძლებელია თბილისის საკრებულოს შენობაში არსებული ამწეპლატფორმის მაგალითის გამოყენება, იხ. ფოტო N 29.
ასევე, დარბაზის ჩასასვლელთან, კიბეებზე უნდა დამონტაჟდეს ამწეპლატფორმა, შესასვლელთან არსებულ შიგა კიბეზე, სადაც რამდენიმე საფეხურია, საჭიროა გაკეთდეს დროებითი პანდუსი ან ამწეპლატფორმა. ამწეპლატფორმის შემუშავებისას შესაძლებელია თბილისის საკრებულოს შენობაში არსებული ამწეპლატფორმის მაგალითის გამოყენება, იხ. ფოტო N 29. დროებითი პანდუსი ამ შემთხვევაშ ბევრად უფრო ეკონომიური იქნება.

ილია ჭავჭავაძის გამოფენა

ილია ჭავჭავაძის გამოფენა სასურველია, გადატანილი იყოს კედლის ფორმატში, რადგან არსებულ ფორმატში, სადგამები საფრთხის შემცველია. მათზე ფეხის წამოკვრა და დაშავება ადვილად არის შესაძლებელი. გარდა ამისა, მცირემხედველი ადამიანებისათვის, ისევე, როგორც უსინათლოებისათვის, უკეთ აღსაქმელი იქნება კედელზე, ჩარჩოში ჩასმული ფოტოები, აღწერებითურთ. უსინათლო ადამიანეიბსათვის, საჭიროა ფოტოების გვერდით განთავსდეს მათი აღწერა ბრაილის შრიფტით ან რელიეფური მაკეტი. ხოლო მცირემხედველი ადამიანებისათვის საჭიროა შრიფტის ზომა გაიზარდოს 18-მდე. სასურველია, ყოველ ფოტოს გვერდითვე გაუკეთდეს წარწერა, რომ უფრო ადვილად აღსაქმელი იყოს, თუ რომელი ფოტო რომელ წარწერას ეკუთვნის. ასევე, უმჯობესია, ფოტოები ჩაისვას ისეთ ჩარჩოში, რომლის კანტებიც კონტრასტს შექმნის ფოტოებთან, რომ ისინი უფრო უკეთ ხილვადი გახდეს.

დერეფნები

B კორპუსის დერეფანში მიმართულების მიმანიშნებელი წარწერები მკრთალია.

წარწერა "B კორპუსი" მუქ მწვანე ფერისაა და მცირემხედველთათვის რთული შესამჩნევია. საჭიროა წარწერის ფონი და ფერი მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. დაუშვებელია წითელი და მწვანე ფერების ერთად გამოყენება.

დერეფნებში საჭიროა ეკიდოს საპირფარეშოს და გასასვლელების მიმანიშნებლები. გასასვლელის მიმანიშნებლები მუდმივად მწყობრში უნდა იყოს, რომ შუქის ჩაქრობის შემთხვევაში ადვილი იყოს მისი დანახვა.

დერეფნებში შესაცვლელია განათების ტიპი და ხარისხი. იხ. პარაგრაფი ‘’განათება’’. მნიშვნელოვანია, რომ თავიდან ავირიდოთ დერეფნებში მოულოდნელად დადგმული ობიექტები. მაგალითად, ბანერები, ვედროები, ყუთები და სხვა ისეთი ნივთები, რაც შეიძლება ბარიერი აღმოჩნდეს მხედველობადაქვეითებული ან მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანისთვის.

B ფლიგელის მესამე სართულზე ლიფტთან საჭიროა კიბის მონიშვნა ქვემოდან, რადგან ახლა შესაძლებელია იქ თავის მირტყმა. საჭიროა გაკეთდეს 4-5 სანტიმეტრიანი კონტრასტული ფერის კანტი. ამ შემთხვევაში მუქი ნაცრისფერი, მუქი ყავისფერი ან შავი.

C კორპუსის 0- სართულზე ჩასასვლელში ორივე მხარეს საჭიროა ჭერის მონიშვნა ზუსტად საფეხურების მაღლა. ახლა შესაძლებელია თავის მირტყმა. საჭიროა გაკეთდეს როგორც კუთხის მომრგვალება, ასევე დარბილება და ვიზუალური მონიშვა.

C კორპუსის 0- სართულზე ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის ბარიერს წარმოადგენს 5-5 საფეხური. ამ ადგილას შეიძლება როგორც მუდმივი დახრილობის გაკეთება, ასევე დროებითი პანდუსის დამონტაჟება, რომელიც დაიდება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.

დერეფანში შუშაში ჩასმული მაგიდის ირგვლივ და შუშის სადემონსტრაციო-საგამოფენო თაროს წინ უნდა დაიდგას თოკიანი სვეტები. იხ. ფოტო. N 7, 7.1 და ფოტო N 8.

ბრიფინგების ოთახი

ბრიფინგების ოთახში საჭიროა გაკეთდეს გვერდული პანდუსი.

პანდუსის გარდა, მნიშვნელოვანია საფეხურებზე კონტრასტული ფერის კანტების გაკეთება და პანდუსზე ანტისლიპების დაკვრა. იხ. ფოტო: N 22 და ფოტო N 23.

სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები

სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები ამ ეტაპზე მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებს. ეტლით მოსარგებლე ადამიანს მხოლოდ კაცების საპირფარეშოში შესვლა შეუძლია. აუცილებელია, რომ ადაპტირებული საპირფარეშო არსებობდეს ქალებისთვისაც. შესასვლელი კარი და თაღი არ უნდა იყოს 90 სანტიმეტრზე ვიწრო. ხელსაბანი ნიჟარა, რომელიც ახლა ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის განკუთვნილ საპირფარეშოშია, არ აკმაყოფილებს სტანდარტს. მას არ აქვს სპეციალური შეღრმავებული ჭრილი. ადაპტირებულ საპირფარეშოში უმჯობესია, თუ კარი ორმხრივ პეტლზე იქნება დამაგრებული, რათა იღებოდეს როგორც შიგნით, ასევე გარეთ. სანიტარულ-ჰიგიენურ ოთახებში სასაპნეები და საქაღალდეები კედლის ფერისგან კონტრასტულად განსხვავებული ფერის უნდა იყოს. სანიტარულ-ჰიგიენური ოთახების შესასვლელში არსებული დირეები უნდა მოიჭრას, რადგან გათავისუფლდეს ბარიერებისგან და გაადვილდეს გადაადგილება ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის.

სასურველია C კორპუსის ყველა სართულზე და A კორპუსში სხდომათა დარბაზის სართულზე გაკეთდეს ერთი ადაპტირებული სანიტარული კვანძი.

ლიფტი

C კორპუსის პირველი სართულის დერეფანში არსებული სატვირთო ლიფტის შესახვევთან კედელზე უნდა მიმაგრდეს ლიფტის მიმანიშნებელი ნიშანი, რადგან ახლა რთულია მისი შემჩნევა და პოვნა. ნიშანი უნდა იყოს იატაკიდან არაუმეტეს 160 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ლიფტის გამოსაძახებელი ღილაკის ირგვლიც საჭიროა იყოს კედლის ფერისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ფერის კანტი. შესაძლებელია შეიღებოს ან მიეკრას ორაკალის წებოვანი ნაჭერი.

ბანკომატები

ლიფტიდან ბანკომატებამდე სასურველია მიდიოდეს ტაქტილური ბილიკი. ლიფტის წინ იგება ხორკლიანი ფილები 60 სმ. სიგანეზე. მათგან ხაზოვანი ფილები მიდის ბანკომატებისკენ, ხოლო ბანკომატების წინ ისევ სრულდება ხორკლიანი ფილებით. იხ. ფოტო. ბანკომატში უნდა ინტეგრირდეს ხმოვანი პროგრამა. ასევე საჭიროა დაბალი, ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის მოსახერხებელი ბანკომატების განთავსება შენობაში იმავე ან სხვა ადგილას.

კაფეტერია

კაფეტერიაში სასურველია მაგიდაზე ეფინოს კონტრასტული ფერის საფენები. გამჭვირვალე შუშის მაგიდა ძალიან მოუხერხებელია მცირემხედველი ადამიანებისთვის. საფენები უნდა განსხვავდებოდეს ჭურჭლის ფერისგანაც. კაფეტერიაში არის ფოდნოსის გასაცურებელი ბილიკები. ბილიკის ორივე ბოლოში საჭიროა იყოს მომრგვალებული ხუფები, რომ დაჯახების შემთხვევაში იყოს ნაკლებად მტკივნეული.

A კორპუსის კაფეტერიასთან არსებულ 3 საფეხურზე საჭიროა გაკეთდეს პანდუსისებრი დახრილობა.

მედიაცენტრი და ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის კართან წარწერა არის მკრთალი. საჭიროა მისი შეცვლა უფრო მკვეთრი და ადვილად აღქმადი წარწერით. იგულისხმება როგორც შრიფტის ზომა, ასევე წარწერის და ფონის ფერს შორის კონტრასტი.

საჭიროა ბიბლიოთეკა შეძლებისდაგვარად აღიჭურვოს წინების აუდიო და ელექტრონული ვერსიებით, ასევე საჭიროა კომპიუტერებში ჩაიწეროს ხმოვანი პროგრამა. მცირემხედველთათვის ნაბეჭდი ტექსტების წაკითხვას მნიშვნელოვნად აადვილებს ციფრული გამადიდებელი მოწყობილობა CCTV. იხ. ბმული მაგალითისთვის.

სასურველია ბრაილის შრიფტით იყოს დაბეჭდილი ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა საქართველოს კონსტუტუცია და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია.

განათება

განათების დონე უნდა შეესაბამებოდეს სივრცის დანიშნულებას, რადგან სხვადასხვა მოქმედებისთვის განსხვავებული განათებაა საკმარისი. მაგ.: ის შუქი, რაც სველ წერტილებთანაა საკმარისი, ხშირად არაა საკმარისი კითხვისთვის. სხვადასხვა სივრცეში საჭირო განათების მინიმალური დონე ლუმიქსებში იხ. ცხრილში.

სივრცე კითხვისა და ნაბეჭდ დოკუმენტებზე სამუშაოდ	500
შეხვედრების და საკონფერენციო სივრცე	300
შესასვლელები, დერეფნები, სხვადასხვა აპარატის მიმდებარე ტერიტორია (მაგ.: ბანკომატები, ყავის აპარატები)	200
სანიტარული ადგილები	150
კიბეები, ლიფტი	100

სივრცის ფერებისა და კონტრასტების, აგრეთვე დიზაინის ცვლილებისას, შესაძლოა განათება შესაცვლელი გახდეს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ცვლილებისას, გასათვალისწინებელია ცხრილში მოცემული ინფორმაცია ან საჭიროა შესაბამისი ცოდნის მქონე ექსპერტის ჩართვა დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

საჭიროა შენობაში არსებული ჩამრთველები იყოს ადვილად შემჩნევადი, რისი მიღწევაც შეიძლება ჩამრთველის ირგვლივ კონტრასტული ფერის კანტის გაკეთებით. კანტი შეიძლება იყოს 3-5 სანტიმეტრი სიგანის. ჩამრთველებთან ერთად მოიაზრება ე.წ. შტეფსელებიც. იხ. ფოტო N 15 და ფოტო N 16.

აივნები

აივნებზე გასასვლელ კარების დირეებს საჭიროა გაუკეთდეს ეტლის გადასასვლელი. გადასასვლელი შეიძლება იყოს მეტალოპლასტმასის, მეტალის ან სხვა მყარი მასალის.
აივნებზე არსებულ საფეხურებზე შეიძლება გაკეთდეს დროებითი პანდუსები ან მთლიანი დახრილობა.
C კორპუსის ცენტრალური შესასვლელის თავზე მდებარე აივანზე საჭიროა საფეხურების მონიშვნა კონტრასტული ფერის კანტით.

გარე პერიმეტრი

აუზები

თბილისის პარლამენტის შენობის შიდა ეზოში არსებულ ოთხკუთხედ აუზებს საჭიროა გაუკეთდეს მოაჯირი, ეზოს ერთიანი დიზაინის შესაბამისად. შესაძლებელია ირგვლივ გაკეთდეს გაზონი ისე, როგორც მრგვალ აუზს აქვს. უკიდურეს შემთხვევაში, მოაჯირის მაგივრად შეიძლება გაკეთდეს მონიშვნა თეთრი ან ყვითელი ქლოროკაუჩუკის შემცველი საღებავით.

ტროტუარის მონიშვნა

საჭიროა ტროტუარის მონიშვნა თეთრი საღებავით ეზოს გვერდითა შესასვლელის ჭიშკართან. 10 სმ. სიგანეზე ზემოდან, ხოლო 5 სმ. წინიდან მთელ სიგრძეზე, სადაც მოსიარულეებს ჩაბიჯება აწევთ.

ევაკუაცია

აუცილებელია არსებობდეს ევაკუაციის სტრატეგია და წინასწარ იყოს დაზუსტებული, საგანგებო სიტუაციის დროს ვის რა როლი ექნება, თუ ვინ იქნება მხეველობის ან მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანის დამხმარე. წინასწარი შეთანხმების გარეშე, კრიზისულ სიტუაციაში შეიძლება მოხდეს პასუხისმგებლობის დიფუზია, ანუ ყველამ ჩათვალოს, რომ ვიღაც სხვა დაეხმარება შენობაში მყოფ ადამიანს. ამასთანავე სტრესულ სიტუაციაში ძალიან კარგი სივრცითი ორიენტაციის მქონე ადამიანმაც შეიძლება დამოუკიდებლად ვერ შეძლოს გადაადგილება.

დამატებითი ინფორმაცია მხედველობის და მობილობის შეზღუდვის მქონე პირების ჩართულობის ხელშეწყობისთვის

ეთიკის ნორმები

გახსოვდეთ:

ერთი შეხედვით გამოტანილმა დასკვნამ იმის შესახებ, რა ტიპის დახმარება სჭირდება მხედველობის ან მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანს, შეიძლება შეცდომაში შეგიყვანოთ. ყოველთვის ჯობს თავად მას ჰკითხოთ ჭირდება თუ არა საერთოდ დახმარება და თუ კი, როგორი. ყოველთვის შესთავაზეთ დახმარება, მით უმეტეს შენობაში უცხოდ მყოფს, მაგრამ დაელოდეთ მის პასუხს.

შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე ღიად საუბარი, ყოველთვის ეფექტურია, ეს თავიდან აგარიდებთ შეცდომებს და უხერხულ მდგომარეობებს.

თუ შენობის გარკვეული ნაწილი უფრო მისაწვდომია, ვიდრე სხვები, შეეცადეთ მხედველობის ან მობილობის შეზღუდვის მქონე პირებს მოემსახუროთ, მათთან შეხვედრები დაგეგმოთ მეტად მისაწვდომ ნაწილში. თუმცა გამუდმებით ისწრაფოდეთ შენობის სრული მისაწვდომობისაკენ.

მოქალაქეებთან პირისპირ შეხვედრის სივრცე მოაწყვეთ ისე, რომ შესაძლებელი იყოს ხელის შემშლელი ხმაურისგან დაცვა, მოსაუბრეებს ერთმანეთის სახის მკაფიოდ დანახვის საშუალება ჰქონდეთ და ეტლით მოსარგებლე ადამიანთან საუბრისას მისი ეტლის სიმაღლეზე დაჯდომა იყოს შესაძლებელი.

ღონისძიების დაგეგმვის დროს გაითვალისწინეთ სამიზნე ჯგუფი და თუ ელოდებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, გაითვალისწინეთ, თუ რამდენად არის ტრანსპორტი ადაპტირებული, გაუწიეთ მათ რეკომენდაცია, თუ როგორ შეუძლიათ მოვიდნენ თქვენამდე ყველაზე ადვილად. უმჯობესია შესთავაზოთ რამდენიმე ვარიანტი და თავად აირჩიონ მათგან.

თუ გყავთ მობილობის ან მხედველობის შეზღუდვის თანამშრომელი ან ახალი თანამშრომლის აყვანას აპირებთ, ნუ შეგეშინდებათ, მათთან კომუნიკაცია არს ისე რთულია, როგორც ეს მსგავსი გამოცდილების არ ქონის შემთხვევაში ჩანს. მათ ისიც შეუძლიათ, რომ მოიხერხონ საკმაოდ არაადაპტირებული გარემოც კი, თუ თქვენ მათ დაწვრილებით დაათვალიერებინებთ სივრცეს, აუხსნით დეტალებს, საჭიროების შემთხვევაში განმეორებით აჩვენებთ რა სად არის. შესაძლოა დასაწყისისთვის დაგჭირდეთ ასისტენტი ან უფრო უმჯობესია, თუ სივრცითი ორიენტაციის ინსტრუქტორს მიმართავთ, რომელიც თქვენს ახალ თანამშრომელს გადაადგილებაში დაეხმარება და მოხერხებულ სტრატეგიებს ასწავლის.

თუ გარემოში რამე ცვლილებას შეიტანთ (ახალი კარი, რომელიც სხვა მიმართულებით იღება, ახალი ავეჯი, ავეჯის ადგილის გადანაცვლება, იატაკზე ახალი საფენი, კაბელები და სხვა) აუცილებლად აცნობეთ ამის შესახებ თქვენს თანამშრომელს ან სტუმარს,

(რომელიც სხვა დროსაც ყოფილა თქვენთან და ძველი განლაგება აქვს დამახსოვრებული).

ზოგადი რეკომენდაციები:

1) უსინათლო ადამიანთან მისალმებისას წარუდგინეთ მას თქვენი თავი. თუ მასთან ხშირი ურთიერთობა გაქვთ, იგი რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, თავადაც გიცნობთ ხმის გაგონებისას. თუმცა თუ პირს ხშირად არ უწევს ხოლმე თქვენთან შეხვედრა ან ამჟამად იმყოფებით ხმაურიან გარემოში, მაგალითად, დერეფანში ან მომსახურების სივრცეში, სადაც ბევრი ხალხია, ასევე თუ თქვენ ესწრებით ღონისძიებას ან შეხვედრას, სადაც გიწევთ ჩურჩული, რომ ხელი არავის შეუშალოთ, შესაძლოა, უსინათლო ადამიანს გაუჭირდეს თქვენი ხმაზე ცნობა. მით უმეტეს, თუ თქვენ ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ან ჩუმად გიწევთ საუბარი. ამიტომ მოსაუბრეს წარუდგინეთ თქვენი თავი და შემდეგ ჩვეულებრივ განაგრძეთ სათქმელი.
2) თუ თქვენ შეხვედით ოთახში, სადაც დაგხვდათ უსინათლო ან მცირემხედველი პირი, აუცილებლად დაილაპარაკეთ, რომ მან თქვენი ხმა გაიგოს და მიხვდეს, ვინ შევიდა ოთახში. შეგიძლიათ თქვათ, ”აი მეც დავბრუნდი” ან ‘’მეც შემოგიერთდით’’ და ასე შემდეგ. მთავარია, პირმა გაიგოს, ვინ არის მის გარდა ოთახში. მაშინაც, როდესაც თქვენ უსინათლო ან მცირე მხედველ ადამიანს იბარებთ შეხვედრაზე, აუცილებლად წარუდგინეთ მას ყველა დამსწრე და მხოლოდ ამის შემდეგ გადადით თქვენთვის აქტუალურ საკითხზე. ყოველთვის დარწმუნდით, რომ უსინათლო ადამიანმა იცის, მასთან ერთად ვინ იმყოფება ოთახში. რა თქმა უნდა, ამას ვერ შეძლებთ, საკონფერენციო დარბაზში ყოფნისას, მაგრამ თუ ადამიანების რაოდენობა არც ისე ბევრია, თან მათი ვინაობა მნიშვნელოვანია უსინათლო ადამიანისათვის, დარწმუნდით, რომ მან იცის ყოველი მათგანის იქ ყოფნის შესახებ. ასევე გააფრთხილეთ იგი მაშინაც, თუ ოთახიდან გადიხართ.

3) უსინათლო ან მცირე მხედველ პირს ყოველთვის მიმართეთ სახელით, რათა ის დარწმუნდეს, რომ თქვენ ნამდვილად მას ესაუბრებით. როდესაც უსინათლო ადამიანი იმყოფება ოთახში, რეკომენდებულია, იქ მყოფები ერთმანეთსაც მიმართავდნენ სახელით, რათა ადამიანმა, რომელიც ვერ ხედავს თქვენს თვალებს, იცოდეს, ვისკენაა მიმართული ესა თუ ის შეკითხვა ან კომენტარი. შეგიძლიათ, ისაუბროთ, ჩვეულებრივი ტონით, ზედმეტი დაძაბვის, ხმის აწევის ან ბგერების გამოკვეთის გარეშე. უსინათლო ადამიანს ესმის ჩვეულებრივ, მთავარია, დარწმუნდეს, რომ მას ესაუბრებიან.
4) ჩვეულებრივ შეგიძლიათ გამოიყენოთ ისეთი სიტყვები და ფრაზები, როგორიცაა: ყურება, დანახვა, ტელევიზორის ყურება და სხვა. შეგიძლიათ თავისუფლად უთხრათ პირს: ''ელენე, რა ლამაზად გამოიყურები დღეს'' ან ''ხომ არ გინახავს ის ფილმი, რომლის ყურებაზეც გუშინ შევთანხმდით?''... ეს ყოველდღიური ფრაზებია და ისინი სრულიად მისაღებია უსინათლოსთან საუბრისასაც.
5) სანამ დახმარებას გაუწევთ მხედველობის ან მობილობის შეზღუდვის მქონე პირს, ჯერ შეეკითხეთ, სჭირდება თუ არა მას ეს და თუ სჭირდება რა ფორმით. ძალიან დამაბნეველი იქნება, პირდაპირ მისვლა და სადმე წაყვანა ან პირადი ნივთების მილაგებაში დახმარება. ზოგადად, უსინათლო ადამიანებს არ უყვართ, როდესაც მათ ნივთებს უნებართვოდ ეხებიან ან ადგილს უცვლიან. მან ყოველთვის იცის, სად ალაგებს საკუთარ ნივთებს და შემდეგ ადვილად პოულობს მათ დახმარების გარეშეც. ამიტომ თუ თქვენთან უსინათლო ან მცირემხედველი სტუმარია და მან მაგიდაზე ესა თუ ის ნივთი დადო, არავითარ შემთხვევაში არ შეუცვალოთ მას ადგილი დაუკითხავად. აუცილებლობის შემთხვევაში, უეჭველად გააფრთხილეთ სტუმარი, რომ მისი საგანი გადააადგილეთ და დაუსახელეთ საგნის ახალი მდებარეობა.
6) იმ გარემოში, სადაც მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანი ხშირად ხვდება, სასურველია, ავეჯსა და საგნებს ჰქონდეთ მუდმივი ადგილი. თუ მაინც

მოგიხდებათ მათი გადაადგილება, სასურველია, ეს გააკეთოთ თავად მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანთან ერთად, რომ მან კარგად დაიმახსოვროს მათი მდებარეობა. თუ ესეც არ არის შესაძლებელი, მაშინ აუხსენით მას ნივთების მდებარეობა, გადაადგილების შემდეგ, პირველივე შეხვედრისას. თავად მის ნივთებს კი არასდროს შეეხოთ ნებართვის გარეშე. თუ უსინათლო ადამიანის ნივთს ითხოვებთ, ყოველთვის დააბრუნეთ იგი პირვანდელ ადგილზე ან მიაწოდეთ უსინათლოს ხელში, რომ მან თავად მიუჩინოს ნივთს ადგილი. არასდროს დატოვოთ სკამი გამოწეული, ბოლომდე მისწიეთ ის მაგიდასთან ან კედელთან. კარი ყოველთვის დახურეთ ბოლომდე ან გააღეთ ისე, რომ იგი კედელს ეყრდნობოდეს. შუა ოთახში ნუ დატოვებთ საგნებს უადგილოდ, ისე რომ უსინათლომ მათ ფეხი დაადგას ან გვერდი გაკრას.

7) როდესაც უსინათლო ადამიანს უხსნით, თუ როგორ უნდა მივიდეს რომელიმე ოთახამდე ან სხვა ადგილამდე, უმჯობესია, ზუსტად აუხსნათ მერამდენე შესახვევში უნდა შეუხვიოს ან მერამდენე კარში უნდა შევიდეს. ტაქტილური ბილიკის არსებობის შემთხვევაში, აუცილებლად გამოიყენეთ იგი საორიენტაციოდ. მაგალითად, ასე: ''დერეფანში რომ გახვალ, წადი მარჯვნივ, გაცდი კიბეს, რომელიც მარჯვენა მხარეს შეგხვდება, კიბის მერე შეუხვიე პირველსავე შესახვევში და შეხვედრების ოთახი #7 მეორე კარია შესახვევის მარცხენა მხარეს''. მცირე მხედველ პირს, შეგიძლიათ ეს მითითებები შეუმციროთ ან ისინი ჩაანაცვლოთ სხვა, მეტად ვიზუალური მითითებებით, მაგალითად, ''დერეფანში რომ გახვალ, წადი მარჯვნივ, გაცდი კიბეს და ყვითელ ნიშნულთან შეუხვიე, შენგან მარჯვენა მხარეს მეორე კარი იქნება შეხვედრების ოთახი #7.''. ამასთან, უსინათლო ადამიანი არასდროს დატოვოთ მარტო გაშლილი სივრცის შუაში. ყოველთვის უთხარით მას, რა უახლოესი საორიენტაციო პუნქტია მასთან ახლოს ან მიიყვანეთ ამ პუნქტთან, რომ მან შემდეგ თავად შეძლოს გზის გაგრძელება. საორიენტაციო პუნქტი შეიძლება იყოს: სკამი, ბოძი, ნაგვის ურნა, შადრევანი, შენობის კედელი და ასე შემდეგ.

8) თუ პირს სკამზე დაჯდომაში ეხმარებით, უმჯობესია, მას ხელი დაადებინოთ სკამის საზურგეზე ზემოდან, რომ შემდეგ მან თავად შეძლოს დაჯდომა. თუ სკამი ისე დგას, რომ საზურგეზე ხელის დადება მოუხერხებელია, მაშინ აუხსენით ვერბალურად, სად დგას სკამი, მარცხნივ, მარჯვნივ ან უკან, რომ პირი თავად დაჯდეს მისთვის განკუთვნილ ადგილზე.
9) ყველაზე მეტად ყურადსაღები და ადვილად შესასრულებელი წესია : თუ ორჭოფობთ ან არ იცით, როგორ დაეხმაროთ მობილობის ან მხედველობის შეზღუდვის მქონე პირს, ყოველთვის კითხეთ მას თავად. გახსოვდეთ, იგი თქვენი ყველაზე დიდი და კომპეტენტური ინფორმატორია!

მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანთან:

1. გაითვალისწინეთ, რომ ეტლით მოსარგებლე ადამიანი მთელ დღეს ეტლში არ ატარებს. ზოგს შეუძლია მცირე მანძილზე გადაადგილება. ზოგს ურჩევნია, დიდხანს ჯდომისას ეტლი ჩაანაცვლოს სკამით.
2. თუ მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანს ელოდებით, გაითვალისწინეთ ის, რომ მას ფლიგელებს და კორპუსებს შორის გადაადგილებისთვის შესაძლოა სხვაზე მეტი დრო დასჭირდეს. ასეთ დროს უმჯობესია, თუ სამუშაო ოთახები ერთმანეთთან ახლოს იქნება.
3. სიები, განცხადებები და სხვა კედლის მასალები უნდა გაიკრას ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას, თუ იცით, რომ გყავთ ეტლით მოსარგებლე თანამშრომელი და ეს ინფორმაცია მისთვისაც საჭირო ან საინტერესოა.
4. თუ ეტლით მოსარგებლე ადამიანს იბარებთ შეხვედრაზე, სასურველია დაბალი მაგიდის ირგვლივ დასხდეთ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
5. არ დაეყრდნოთ ეტლს და ნუ ჩაჯდებით მასში ნებართვის გარეშე, თუ მისი პატრონი დროებით ამდგარია.
6. ნუ გამოიყენებთ ეტლს თქვენი ნივთების დასაწყობად, ან რამის ჩამოსაკიდად.

7. ჰკითხეთ მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანს, თუ როგორ ურჩევნია, რომ თქვენ დაეხმაროთ და სჭირდება თუ არა საერთოდ დახმარება.
8. მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანს შეგიძლიათ შესთავაზოთ დახმარება, მაგრამ ყოველთვის დაელოდეთ მის პასუხს.
9. მობილობის შეზღუდვს მქონე ადამიანებს შესაძლოა გაუჭირდეთ დრესკოდის დაცვა. ასეთი შემთხვევები გათვალისწინებული უნდა იყოს.
10. არ არის აუცილებელი, იცოდეთ ადამიანის მდგომარეობის ზუსტი სახელი, ეს დამატებით უხერხულობას ნუ შეგიქმნით.

ტერმინოლოგია:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სხვადასხვა ქვეყანაში პერიოდულად იცვლება. მნიშვნელოვანია, რომ გამოვიყენოთ ის სიტყვები, რომლებიც დროის მოცემულ მონაკვეთში არის მიღებული:

მიღებულია	**მიუღებელია**
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე	• შეზღუდული • ინვალიდი • უნარშეზღუდული
უსინათლო	ბრმა
• მცირემხედველი • მხედველობადაქვეითებული	• ბრუციანი • თვალთნაკლული
ეტლით მოსარგებლე	ეტლიანი
მობილობის შეზღუდვის მქონე	ხეიბარი
გადაადგილების შეზღუდვის მქონე	კოჭლი

საათის პრინციპი

სივრცეში უკეთ ორიენტაციისთვის, უსინათლო ადამიანები იყენებენ საათის პრინციპს. თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს ადამიანი, მისგან საით მდებარეობს ესა თუ ის სივრცე ან საგანი, შეგიძლიათ მარტივად დაუსახელოთ ადამიანს, საათის პრინციპის გამოყენებით. ოღონდ გახსოვდეთ, რომ მიმართულების მითითებისას, უნდა გაითვალისწინოთ თავად უსინათლო ადამიანთან რა მიმართებით არის განლაგებული ობიექტი და არა თქვენგან საით არის ის. თუ სამიზნე მდებარეობს უსინათლო ადამიანის სახის მოპირდაპირე მხარეს, მაშინ იგი მისგან 12 საათზეა, თუ მარჯვნივ არის განთავსებული, მაშინ _ 3 საათზე, მარცხნივ მდებარე საგანი იქნება _ 9 საათზე. 1, 2, 10 და 11 საათებსაც განსაზღვრავთ შესაბამისად, იმ საგნებისთვის, რომლებიც მდებარეობენ უსინათლო ადამიანისგან დიაგონალურად.

თუ საქმე ეხება მაგიდაზე განლაგებულ საგნებს, მაშინ უშუალოდ უსინათლო ადამიანის წინ მდებარე საგანი არის მისგან 6 საათზე, მაგიდის მოპირდაპირე კიდესთან მდებარე საგანი იქნება 12 საათზე, მარჯვნივ მდებარე _ 3 საათზე, მარცხნივ _ 9 საათზე, ხოლო დანარჩენ საათებს გამოიყენებთ დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად. მაგ.: კალამი დევს 3 საათზე, ფურცელი _ 6-ზე, ტელეფონი 11-ზე და მისთ.

საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი ''გამცილებელი ძაღლის'' ცალკე კატეგორია, რის გამოც მათი შეყვანა საზოგადოებრივ სივრცეებში ისევე იკრძალება, როგორც სხვა ცხოველების. ეს საკითხი შეგიძლიათ შიდა რეგულაციით გადაწყვიტოთ და უსინათლო ადამიანებს დართოთ ნება გამცილებელი ძაღლი ალიკაპით შემოიყვანონ შენობაში.

დანართი:



კომენტარი: მოსახლეობის უმრავლესობა ფერებს ხედავს ისე, როგორც ეს პირველ წრეშია გამოსახული, ამავე ფერებს მხედველობითი აღქმის რამდენიმე კონკრეტული დარღვევის მქონე ადამიანები კი ისე ხედავენ, როგორც მომდევნო წრეებშია გამოსახული. გასათვალისწინებელია, რომ ის ფერები, რომლებიც პირველ წრეზე განსხვავდება ერთმანეთისგან, დანარჩენებზე კი თითქმის ერთნაირია, გვერდიგვერდ არ გამოვიყენოთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ობიექტსა და ფონს შორის კონტრასტის შექმნა გვსურს. ესენია: მწვანე-წითელი-სტაფილოსფერი; ცისფერი-ლურჯი-იასამნისფერი-იისფერი; წითელი-სტაფილოსფერი-ყვითელი; მწვანე-ნაცრისფერი-ლურჯი-ცისფერი; იასამნისფერი-ყავისფერი-შინდისფერი.

ფოტოები

ფოტო N1: შესასვლელი კარი შიგნიდან - დამუშავების გარეშე

ფოტო N2: შესასვლელის კარი შიგნიდან - დამუშავებული

ფოტო N3: კინოდარბაზთან ჩასასვლელი კიბე - დაუმუშავებელი

ფოტო N 4: კინოდარბაზთან ჩასასვლელი კიბე - დამუშავებული



ფოტო N 5: საფეხურები ტრიბუნასთან - დაუმუშავებელი

ფოტო N6: დროებითი პანდუსი ტრიბუნასთან - დამუშავებული

ფოტო N 7: შუშის თარო - დაუმუშავებელი

ფოტო N 7.1 : მაგიდა - დაუმუშავებელი

ფოტო N 8: შუშის თარო - დამუშავებული

ფოტო N 9/10: განათება კინოდარბაზის საფეხურებზე

ფოტოები მოძიებულია ინტერნეტში, შემდეგი ბმულებიდან:

1. https://www.indiamart.com/bmplighting/theatre-light.html
2. http://dekorer.net/component/tags/tag/1096-merdiven-led-aydinlatma.html



ფოტო N 11: კინოდარბაზის საფეხურები - დაუმუშავებელი



ფოტო N 12: კინოდარბაზის საფეხურები - დამუშავებული

ფოტო N 13: შუშის მოაჯირი კინოდარბაზის ჩასასვლელთან - დაუმუშავებელი

ფოტო N 14: შუშის მოაჯირი კინოდარბაზის ჩასასვლელთან - დამუშავებული

ფოტო N15: ჩამრთველი - დაუმუშავებელი

ფოტო N 16 : ჩამრთველი - დამუშავებული

ფოტო N 17: საფეხურები - დაუმუშავებელი



ფოტო N 18: საფეხურები - დამუშავებული

ფოტო N 19: ფლიგელებს შორის გადასასვლელი დერეფნის საფეხურები - დაუმუშავებელი

ფოტო N 20: ფლიგელებს შორის გადასასვლელი დერეფანი დახრილობით - დამუშავებული

ფოტო N 21: ფლიგელებს შორის გადასასვლელი დერეფანი დახრილობით, ხალიჩის გარეშე - დამუშავებული

ფოტო N 22: ბრიფინგების ოთახი - დაუმუშავებელი

ფოტო N 23: ბრიფინგების ოთახი პანდუსით, კანტებით და ანტისლიპებით - დამუშავებული მოცემულ ფოტოს აკლია ერთი დეტალი - პანდუსი საჭიროებს მოაჯირს.

ფოტო N 24: ცენტრალური შესასვლელი საშვთა ბიუროსთან - დაუმუშავებელი

ფოტო N 25: ცენტრალური შესასვლელი საშვთა ბიუროსთან - დამუშავებული

ფოტო N 26 : ცენტრალური შესასვლელი - დაუმუშავებელი



ფოტო N 27: ცენტრალური შესასვლელი - დამუშავებული (დაქტილური ბილიკი და დაგრძელებული პანდუსი)

ფოტო N 28: ტაქტილური ბილიკი თბილისის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში

ფოტო N 29: თბილისის საკრებულოს შენობაში არსებული ამწეპლატფორმა

ფოტო N 30: პორტატული ელექტრო ამწე პლატფორმების ნიმუში